ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

2024 წლის 29 ივლისი

ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ „ჩხაკაურას“ აღუდგეს ძველი სახელი და მიენიჭოს სახელწოდება „ჩხაკოურა“.

მუხლი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №4.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა